

სახელმწიფო და საზოგადოებრივი აკრედიტაციის
თანამშრომლობის მნიშვნელობა უმაღლესი განათლების
ინსტიტუტების ხარისხის მართვასა და განვითარებაში
პროფესორი მამუკა თავხელიძე
გამოსვლა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე -
უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში:
ძილწევები, პრობლემები, პერსპექტივები
თბილისი
2001

პრობლემის არსია აკრედიტაციის ეროვნული სისტემის სრულ-
ფასოვანი მოდელის ჩამოყალიბებაში სახელმწიფო და საზოგა-
დოებრივი აკრედიტაციის თანამშრომლობა-მონიტორინგის მნიშვნე-
ლობის დასაბუთება.

1. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ
უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ლიცენზირებისა და ატეს-
ტაცია-აკრედიტაციის სფეროში უკანასკნელი წლების განმავლო-
ბაში მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები, მათ მიერ შექმ-
ნილი მარეგლამენტირებელი დოკუმენტების დაბალი პროფესიონ-
ალიზმი, რაც ამკარად გამოვლინდა ლიცენზირების დევალვაციაში,
აკრედიტაციის გამჭვირვალობის საერთაშორისო პრინციპის
უგულვებელყოფაში, ქვეყანაში მიმდინარე ფარულ აკრედიტაციასა
და მრავალ სხვა მანკიერებაში, განსაკუთრებულად ზრდის უნი-
ვერსიტეტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური
მონაწილეობის მნიშვნელობას აკრედიტაციის ეროვნული სის-
ტემის მშენებლობაში.

2. სახელმწიფო აკრედიტაციისა (სახელმწიფო უფ-
ლებამოსილი სტრუქტურის მიერ დადგენილ ნორმათა რეალიზ-
აციის ხარისხის შეფასების საფუძველზე უმაღლესი განათლების
ინსტიტუტებისა და პროგრამებისათვის სტატუსის მინიჭების პრო-
ცედურა) და საზოგადოებრივი აკრედიტაციის (სხვადა-
სხვა სახის საზოგადოებრივი სამეცნიერო-პროფესიული გაერთიან-
ებების მიერ, დადგენილ ნორმათა რეალიზაციის შეფასების სა-
ფუძველზე, უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისა და პროგრამე-
ბის ხარისხის გარკვეული დონის აღიარება) ერთმანეთისაგან
დამოუკიდებელი, მიზანმიმართული და საერთაშორისო ნორმების
განუხრელი დაცვით წარმართული მუშაობა ხელს შეუწყობს უმაღ-

ლესი განათლების აკრედიტაციის ეროვნული სისტემის სრულფასოვანი მოდელის ჩამოყალიბებასა და ამ უკანასკნელის აკრედიტაციის საერთაშორისო სისტემაში ჩართვას.

3. კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ წარმოქმნილ ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოებში აქცენტის სახელმწიფო აკრედიტაციის სისტემების შექმნაზე გადატანის მიუხედავად, ამ ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით საზოგადოებრივი აკრედიტაცია აღიარებულია უმაღლესი სკოლის აკრედიტაციის სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად და უმაღლესი განათლების პროგრამების ხარისხის პერმანენტული ამაღლების საშუალებად. ბაზრის პირობებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი აკრედიტაციის თანამშრომლობითა და მონიტორინგით შემოკლება გარდამავალი ეტაპის ხანგრძლივობა, დაჩქარება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარება.

4. სახელმწიფო და საზოგადოებრივ აკრედიტაციას შორის თანამშრომლობა - მონიტორინგისა და დიალოგის მიზანია არა დებატებში გამარჯვება, არამედ უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის მართვის ურთულეს პრობლემებში წვდომა, ინტერაქციაში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის არგუმენტის ძიებაში ხელშეწყობა და შეთანხმება, ურომლისოდაც აკრედიტაციის ეროვნული სისტემების შექმნა-ფუნქციონირება წარმოუდგენელია. აკრედიტაციის მეცნიერულ-პროფესიული საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფო აკრედიტაციისთვის ადეკვატური გარემოს ფორმირების ინსტრუმენტი და თვით სახელმწიფო აკრედიტაციის მართვის სრულყოფის უალტერნატივო საშუალება.